



Empowered lives.  
Resilient nations.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის  
განხორციელების გაუმჯობესებული მონიტორინგისთვის  
როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ  
შემოთავაზებული რეკომენდაციების აღსრულებისთვის საკვანძო  
სამუშაო აღწერილობები

მომზადებულია ანა რუხაძის მიერ

## შინაარსი

|  |    |
|--|----|
| 1. ანგარიშის მიზანი .....                                      | 3  |
| 2. მეთოდოლოგია .....   | 3  |
| 3. ფონური ინფორმაცია .....                                     | 4  |
| 4. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი ..... | 5  |
| 5. დაცული ტერიტორიების სააგენტო.....                           | 8  |
| 6. ეროვნული სატყეო სააგენტო.....                               | 10 |
| 7. გარემოს ეროვნული სააგენტო.....                              | 12 |
| 8. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.....            | 14 |

## 1. ანგარიშის მიზანი

ბიომრავალფეროვნების ტენდეციებისა და პროცესების მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის ეფექტური სისტემის დანერგვის მიზნით, პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“ შეფასებული იქნა სხვადასხვა ინსტიტუტების პასუხისმგებლობები ამ მიმართებით და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნულმა კვლევამ გამოავლინა უწყებების ფუნქციების უფრო ღრმა ანალიზის საჭიროება ბიომრავალფეროვნების შეუფერხებელი და სანდო მონიტორინგის განხორციელებისათვის. შესაბამისად, შეფასდა ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა თემატური მიმართულებებით მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყებების თანამშრომლების სამუშაოთა აღწერილობები და მომზადდა რეკომენდაციები სამუშაოთა აღწერილობების განახლებისთვის.

## 2. მეთოდოლოგია

პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“ ფარგლებში გამოვლენილი იქნა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს რიგი ინდიკატორების მიხედვით და შეფასდა მათი როლი და პასუხისმგებლობები. გამოვლენილი იქნა, არსებობს თუ არა შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველი ბიომრავალფეროვნების ამა თუ იმ კომპონენტის მონიტორინგისათვის. განხილული იქნა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ვალდებულებები არის თუ არა განსაზღვრული კანონმდებლობით, ასევე არის თუ არა ასახული შესაბამისი ინსტიტუტის დებულებაში. განისაზღვრა ყველაზე შესაბამისი უწყებები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისათვის იმ მონაცემთა გენერირებისა/ანალიზისთვის, რომლებიც, დღეისათვის არ იწარმოება არც ერთი ინსტიტუტის მიერ.

წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია სახელმწიფო ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობები მონაცემების წარმოების, ასევე დაგეგმვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებით საშტატო ერთეულების დონეზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან დაკავშირებულ უწყებებში სამუშაოთა აღწერილობების შემუშავებისა და დამტკიცების მდგომარეობა. განხილული იქნა, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული სამუშაოთა აღწერილობები ინფორმაციის მართვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას. მომზადდა რეკომენდაციები სამუშაოთა აღწერილობებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

### 3. ფონური ინფორმაცია

პროექტის „ინფორმაციის მართვის ჰარმონიზაცია გარემოს შესახებ ცოდნისა და მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის საქართველოში“ ფარგლებში განხორციელებული წინა კვლევებით გამოვლენილი იქნა შემდეგი ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბიომრავალფეროვნების სფეროში მონიტორინგზე, დაგეგმვაზე, ანგარიშგებასა და მონაცემთა წარმოებაზე:

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო:**

- ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი;
- დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- ეროვნული სატყეო სააგენტო;
- გარემოს ეროვნული სააგენტო;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი.

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო:**

- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო;

სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტი;

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში განხილული იქნა ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტების პასუხისმგებლობები და ვალდებულებები ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სფეროში და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები, რომლებშიც დეტალურადაა გაანალიზებული აღნიშნული უწყებების დებულებებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები მონაცემების/ინფორმაციის მართვის მხრივ. მომზადებული იქნა რეკომენდაციები ცალკეული ინსტიტუტების დებულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე, მონიტორინგის კუთხით მათი ფუნქციების გაძლიერებისა და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების მიზნით.

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინსტიტუციურ მოწყობაზე პროექტის ფარგლებში მომზადებულ წინა ანგარიშებს და განხილული უნდა იქნეს ამ ანგარიშებთან ერთობლიობაში.

ზემოთ აღნიშნული უწყებების დებულება დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს უწყების სტრუქტურას, მიზნებს, ამოცანებს, ფუნქციებს, მოვალეობებსა და ვალდებულებებს. მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულია, როგორც მთლიანად უწყების, ასევე, მის სტრუქტურაში შემავალი ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები, ასევე უწყებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების მოვალეობები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად საჯარო მოხელის ყოველი თანამდებობისათვის დადგენილი უნდა იქნეს სამუშაო აღწერილობა. საქართველოს საჯარო

სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული იქნა საჯარო უწყებებში სამუშაოების კლასიფიკაციის სტანდარტები და განახლდა სამუშაო აღწერილობის ფორმა. ყველა საჯარო უწყებას მოეთხოვა შეემუშავებინათ სამუშაოთა აღწერილობები დადგენილი სტანდარტის მიხედვით. თუმცა, დღემდე სამუშაოთა აღწერილობები დამტკიცებულია მხოლოდ ზოგიერთი საჯარო უწყების მიერ. საჯარო უწყებების ნაწილმა შეიმუშავა/განაახლა სამუშაოთა აღწერილობები, მაგრამ ჯერჯერობით არ აქვთ დამტკიცებული.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება სამეცნიერო ინსტიტუტებზე. შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს არ მოეთხოვებათ სამუშაოთა აღწერილობების შემუშავება დადგენილი სტანდარტის მიხედვით.

#### 4. ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციებს განეკუთვნება ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ორგანიზების ხელშეწყობა, ასევე, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის ორგანიზება და კოორდინაცია. დებულების თანახმად, დეპარტამენტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვა პირებისაგან სათანადო ინფორმაცია და მასალები დეპარტამენტის კომპეტენციით განსაზღვრულ საკითხებზე. დებულების თანახმად, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის ვალდებულებებში არ შედის ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტების შესახებ მონაცემების გენერირება, მონაცემთა ბაზების შექმნა, მართვა, შენახვა.

ბიომრავალფეროვნების კონვენციის პასუხისმგებელი პირი დანიშნულია მინისტრის ბრძანებით და პასუხისმგებელია ეროვნულ დონეზე გაუწიოს კოორდინაცია ქმედებებს კონვენციის მოთხოვნების შესრულების მიზნით, ასევე, მოამზადოს ეროვნული მოხსენებები კონვენციის სამდივნოში წარდგენის მიზნით. ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის პასუხისმგებელი პირის, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო შეთანხმებებზე პასუხისმგებელი პირების სამუშაოთა აღწერილობები შემუშავებული არ არის.

გასულ წლებში ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურს შესაძლებლობების განვითარების მხრივ, რაც ასევე მოიცავდა, ცალკეულ თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილებას, გარკვეული დახმარება გაუწია პროექტმა „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ (GIZ). თუმცა, დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები დღემდე არ არის შემუშავებული. ფუნქციების განაწილება თანამშრომლებს შორის ხდება დეპარტამენტისა და სამმართველოების ხელმძღვანელების მითითებების შესაბამისად.

დღეის მდგომარეობით ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოში არის 6 საშტატო ერთეული. სამმართველოს უფროსი არის ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის პასუხისმგებელი პირი. ცალკეული სპეციალისტები

წარმოადგენენ „ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენციის“ (ბერნის კონვენცია), ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ კონვენციის (რამსარის კონვენცია), CITES-ის, ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ კონვენციის (ბონის კონვენცია) და ამავე კონვენციის ფარგლებში რატიფიცირებული შეთანხმებების პასუხისმგებელ პირებს. ნადირობისა და თევზჭერის საკითხები, NBSAP-ის განხორციელების კოორდინაცია და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბების კოორდინაცია, ასევე, შედის ცალკეული სპეციალისტების მოვალეობებში.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და მონაცემთა წარმოების კუთხით რეკომენდირებულია პასუხისმგებლობების შემდეგი განაწილება ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის საშტატო ერთეულებს შორის:

*ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს უფროსი (ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის პასუხისმგებელი პირი);*

- ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების შერჩევა და განსაზღვრა;
- ცალკეული ინდიკატორების წარმოების მეთოდოლოგიის შეთანხმება/დამტკიცება;
- ბიომრავალფეროვნების კონვენციისადმი ეროვნული მოხსენებების მომზადების ორგანიზება/კოორდინაცია;
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის დაგეგმვა ინდიკატორების წარმოების შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე;
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პოლიტიკის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;
- რეგულაციების შემუშავება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მდგრადი სარგებლობისათვის;
- გენმოდულირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემებში გამოყენების შესახებ მონაცემების წარმოება.

*მთავარი სპეციალისტი (CITES-ზე პასუხისმგებელი პირი)*

- CITES-ის ნიმუშებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოება, მათ შორის მონაცემების Galanthus-ისა და Cyclamen-ის ბოლქვების მოპოვების ყოველწლიური კვოტებისა და რეალური მოპოვების/ექსპორტის თაობაზე;
- CITES-ის ეროვნული მოხსენებების მომზადება;

*მთავარი სპეციალისტი (ბერნის კონვენციაზე პასუხისმგებელი პირი)*

- სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ ინდიკატორების განსაზღვრა, წარმოების მეთოდოლოგიების შეთანხმება, ჰაბიტატებისა და სახეობების მონაცემთა ბაზების წარმოების კოორდინაცია, მონაცემთა ვალიდაცია;
- ბერნის კონვენციისათვის ეროვნული მოხსენებების მომზადება.

*მთავარი სპეციალისტი (რამსარის კონვენციაზე პასუხისმგებელი პირი)*

- ჭარბტენიან ტერიტორიებთან დაკავშირებული ინდიკატორების განსაზღვრა, წარმოების მეთოდოლოგიების შეთანხმება, ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ მონაცემთა ბაზის წარმოების კოორდინაცია, მონაცემთა ვალიდაცია;
- რამსარის კონვენციისათვის ეროვნული მოხსენებების მომზადება.

*მთავარი სპეციალისტი (თევზჭერის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი)*

- თევზჭერასთან დაკავშირებული ინდიკატორების შემდეგი განვითარება;
- თევზჭერის მონაცემთა ბაზის შექმნისა და წარმოების კოორდინაცია;
- კოორდინაცია გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტებთან თევზჭერის მონაცემებთან დაკავშირებით;
- თევზჭერის მონაცემების ვალიდაცია;
- თევზჭერის ელექტრონული ანგარიშგების სისტემის განვითარების კოორდინაცია;
- ეროვნული მოხსენებებისთვის თევზჭერის შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- რეკომენდაციების მომზადება თევზჭერის პოლიტიკისა და რეგულაციების შემდგომი განვითარებისთვის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

*მთავარი სპეციალისტი (ნადირობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი)*

- ნადირობასთან დაკავშირებული ინდიკატორების შემდეგი განვითარება;
- ნადირობის მონაცემთა ბაზის შექმნისა და წარმოების კოორდინაცია;
- კოორდინაცია გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტებთან ნადირობის მონაცემებთან დაკავშირებით;
- ნადირობის მონაცემების ვალიდაცია;
- ნადირობის ელექტრონული ანგარიშგების სისტემის განვითარების კოორდინაცია;
- ეროვნული მოხსენებებისთვის ნადირობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;
- რეკომენდაციების მომზადება ნადირობის პოლიტიკისა და რეგულაციების შემდგომი განვითარებისთვის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

თევზჭერასა და ნადირობასთან დაკავშირებული მონაცემების წარმოება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგნაირად:

1. გარემოს ეროვნული სააგენტო და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი შესაბამის მონაცემებს აწვდიან ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს სპეციალისტებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ მონაცემების შეტანაზე გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის ერთიან სისტემაში;

ან

2. გარემოს ეროვნულ სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტებს მონაცემები უშუალოდ შეაქვთ გარემოსდაცვითი ინფორმაციი მართვის ერთიან სისტემაში, ხოლო ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს სპეციალისტების პასუხისმგებლობაა მონაცემთა ვალიდაცია.



## 5. დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები დამტკიცებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 10 მაისის ბრძანებით #5/ა381) საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადებული ფორმატის შესაბამისად.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი პასუხისმგებლობები ბიომრავალფეროვნების მონაცემების წარმოებასთან დაკავშირებით:

ორი სპეციალისტი (მთავარი სპეციალისტი და მთავარი სპეციალისტი GIS-სა და მონაცემთა ბაზის მართვის დარგში) პასუხისმგებელი არიან უზრუნველყონ შესაბამისი მონაცემთა ბაზის წარმოება დაცული ტერიტორიების მართვისათვის, დაგეგმვისა და ანგარიშგებისათვის. სპეციალისტები პასუხისმგებელი არიან რეგულარულად განახლონ მონაცემები დაცული ტერიტორიების საზღვრებსა და ფართობების შესახებ. თუმცა სამუშაოთა აღწერილობა არ მოიცავს სპეციფიკურ მოვალეობებს მონაცემთა ბაზის მართვასთან დაკავშირებით და უფრო მეტად ფოკუსირებულია დაცული ტერიტორიების რუკების მომზადებაზე, საზღვრების დადგენასა და რეგისტრაციაზე. სამუშაოთა აღწერილობით არ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობა დაცული ტერიტორიების ინტერაქტიური რუკის განახლებასთან დაკავშირებით, რომელიც განთავსებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

ამჟამად სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერით მიმდინარეობს ქმედებები დაცული ტერიტორიების მონიტორინგისა და მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების მიზნით. შესაბამისად, განხილული უნდა იქნეს ახალი საშტატო ერთეულის დამატების საკითხი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემების მართვაზე. ახალი საშტატო ერთეული საკვალიფიკაციო მოთხოვნებში უნდა შედიოდეს Arc GIS-ის მომხმარებლის სერთიფიკატი და მონაცემთა ბაზის მართვის გამოცდილება. მონაცემთა ბაზის მართვასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოვალეობები რეკომენდირებულია მოიცავდეს:

- დაცული ტერიტორიების, ასევე ეკოკორიდორებსა და დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოსისტემების (ჰაბიტატების) საზღვრებსა და ფართობებზე მონაცემთა განახლება,
- დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმების შესახებ მონაცემების განახლება;
- დაცული ტერიტორიების ინტერაქტიური რუკის ველების შევსება და განახლება.

მთავარი სპეციალისტი (სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგის დარგში) პასუხისმგებელია მოამზადოს ინფორმაცია დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შესახებ და აწარმოოს დაცულ ტერიტორიებში სახეობების მონაცემთა ბაზა. ეს



მოვალეობები დეტალურადაა მოცემული სამუშაოს აღწერილობაში. რეკომენდირებულია, რომ იგივე სპეციალისტი იყოს პასუხისმგებელი დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზაში სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ მონაცემების შეტანაზე.

ცალკეული დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციებში ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტების მოვალეობაში შედის სახეობების მონაცემთა ბაზების წარმოება. რეკომენდირებულია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ცალკეული დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის შექმნა, მით უმეტეს, თუ არ მოხდება ქსელის ჩამოყალიბება. მონაცემთა ბაზის შექმნის ნაცვლად, უმჯობესია ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტის მოვალეობაში შედიოდეს მონაცემთა შეგროვება და შეტანა დაცული ტერიტორიების ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში. სამეცნიერო კვლევისა და მონიტორინგის დარგში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მთავარი სპეციალისტი კი პასუხისმგებელი უნდა იყოს მონაცემთა ვალიდაციაზე.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში მონაცემები ტყეების შესახებ, მათ შორის ტყის აღდგენის, დაავადებების გავრცელების, ხანძრების თაობაზე გროვდება ბუნებრივი რესურსების მართვის მთავარი სპეციალისტის მიერ. თუმცა ეს მოვალეობა არ არის ასახული სამუშაოთა აღწერილობაში. რეკომენდირებულია აღნიშნული სამტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობის შესაბამისი განახლება და მასში შემდეგი ფუნქციების დამატება:

- ტყის რესურსებით სარგებლობის, ასევე ტყის აღდგენის, დაავადებების გავრცელებისა და ხანძრების შესახებ ინფორმაციის/მონაცემების რეგულარული განახლება დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზებში;
- დაცული ტერიტორიების ფარგლებში ძოვების, საძოვრებისა და თევზჭერის შესახებ მონაცემთა რეგულარული განახლება.

დაცული ტერიტორიების ფარგლებში ტყის ინვენტარიზაციის შედეგები გროვდება და ინახება ტყითსარგებლობის მიმართულებით უფროსი სპეციალისტის მიერ. სამუშაოთა აღწერილობის მიხედვით, აღნიშნული სპეციალისტი ვალდებულია შეიტანოს შესაბამისი მონაცემები GIS მონაცემთა ბაზაში. თუმცა, ეს ფუნქცია-მოვალეობები უნდა იქნეს დაზუსტებული და ტყითსარგებლობის მიმართულებით უფროსი სპეციალისტი პასუხისმგებელი უნდა იქნეს ტყის ინვენტარიზაციისა და ტყითსარგებლობის მონაცემების მართვაზე.

სამუშაოთა აღწერილობის მიხედვით ეკოტურიზმის სპეციალისტი ვალდებულია შექმნას და მართოს დაცული ტერიტორიების ვიზიტორების მონაცემთა ბაზა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფარგლებში ეკონომიკური სამსახური არის პასუხისმგებელი ფინანსური რესურსების მართვაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ ამ სამსახურის წარმომადგენელი (მაგალითად სამსახურის უფროსის მოადგილე) იყოს პასუხისმგებელი მონაცემების მართვაზე დაცული ტერიტორიებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების, დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა ხელფასების, ასევე, დაცულ ტერიტორიებში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად განახლებული უნდა იქნეს შერჩეული სამტატო ერთეულის სამუშაოთა აღწერილობა.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობებში შედის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული პროექტების, ასევე ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ მონაცემების მართვა და ინფორმაციის მომზადება. რეკომენდირებულია, სამუშაოს აღწერილობაში შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები და ამავე საშტატო ერთეულის ფუნქციებს დაემატოს დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზაში დონორი ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ ინფორმაციის შეტანა, განახლება, შენახვა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობებში შედის დაცულ ტერიტორიებში დასაქმებული პირთა შესახებ მონაცემების მართვა, მათ შორი რეინჯერების რაოდენობა, ტრენინგებში მონაწილეობა და სხვა.

ცალკეულ დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მონაცემების მართვასთან დაკავშირებით შესაძლოა განხილული იქნეს ორი ალტერნატივა:

1. ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში განსაზღვრული და შეთანხმებული მონაცემების შეტანა ხდება ცალკეული დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციების მიერ, რომლებშიც მონაცემთა მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის საშტატო ერთეულს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალისტების მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს ცალკეული დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლების მიერ შეტანილი მონაცემების ვალიდაცია.

2. ცალკეული დაცული ტერიტორიების შესახებ მონაცემები გადაეცემა დაცული ტერიტორიების სააგენტოს, რომლის სპეციალისტების მიერ ხდება მონაცემების შეტანა ცენტრალიზებულ მონაცემთა ბაზაში. ხოლო დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაბამისი სამსახურებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელები ახდენენ მონაცემთა ვალიდაციას.

## 6. ეროვნული სატყეო სააგენტო

ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები დამტკიცებულია სააგენტოს უფროსის ბრძანებით #296/ს, 2016 წლის 8 აგვისტოს. თუმცა სამუშაო აღწერილობები არ არის მომზადებული საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დამტკიცებული ფორმატის მიხედვით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამტკიცებულია სააგენტოს უფროსის ბრძანებით #432/ს, 2017 წლის 6 ივლისი, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დამტკიცებული ფორმატის შესაბამისად.

ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მოწოდებული სამუშაო აღწერილობების მიხედვით სააგენტოს ტყის რესურსების მართვისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის არ არის განსაზღვრული სპეციალური ფუნქციები მონაცემთა მართვასთან დაკავშირებით. მხოლოდ სატყეო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ფუნქციებში შედის ხე-ტყის დამზადების სამუშაო (ანალიზური) ბაზის წარმოება, ხოლო ტყითსარგებლობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი პასუხისმგებელია განახორციელოს ტყეკაფების ათვისების ანალიზი. შესაბამისად, რეკომენდირებულია ტყითსარგებლობის სამმართველოს მთავარი

სპეციალისტის სამუშაო აღწერილობაში ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული მონაცემების წარმოების ფუნქციის დამატება. ასევე, სატყეო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის ფუნქციებს უნდა დაემატოს სპეციალურ ჭრების შესახებ მონაცემთა მართვა.

დებულების თანახმად ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახური უზრუნველყოფს:

- ელექტრონული საინფორმაციო სისტემების შემუშავების ორგანიზებას;
- მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარებისათვის, ასევე, ახალი პროგრამული მოდულების შემუშავებისა და/ან ცვლილებების შეტანისათვის წინადადებების მომზადებას;
- ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებში მომხმარებელთა დაშვებების უზრუნველყოფა ინფორმაციასთან წვდომის იერარქიული დონეების გათვალისწინებით, სისტემის მომხმარებელთათვის პრაქტიკული და მეთოდური დახმარებების გაწევას.

შიდა კონტროლის სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები მოიცავს შესაბამის ფუნქციებსა და მოვალეობებს.

ტყის აღრიცხვისა და კვლავწარმოების დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველო;
- ბ) ტყის აღრიცხვის სამმართველო.

ტყის აღრიცხვის სამმართველოს უფროსის მოვალეობებში შედის ტყის ფონდთან დაკავშირებულ გეოინფორმაციული სისტემის ფუნქციონირების ორგანიზება. სამმართველოში არის GIS სპეციალისტის სამი საშტატო ერთეული და მათი სამუშაო აღწერილობები მოიცავს შესაბამის ფუნქციებს. დამატებით, სამმართველოს მთავარი სპეციალისტი პასუხისმგებელია ტყის ფონდიდან ფართობების ამორიცხვისა და ჩარიცხვის ბაზის წარმოებაზე.

ამჟამად მიმდინარეობს რამდენიმე პროექტი, რომლებიც მოიცავს ტყის მონაცემთა ბაზის შექმნისა და ტყის ინვენტარიზაციის ღონისძიებებს. რეკომენდირებულია, რომ ტყის აღრიცხვის სამმართველოს საშტატო ერთეულების სამუშაო აღწერილობები განახლებული იქნეს ტყის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბების პარალელურად და დამატებული იქნეს სპეციფიკური ფუნქციები მონაცემთა ბაზების წარმოებასთან დაკავშირებით.

ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს თანამშრომლების სამუშაო აღწერილობების მიხედვით ტყის მოვლა-აღდგენის სამმართველოს სპეციალისტების მოვალეობებში შედის მონაცემთა ბაზის წარმოება, მონაცემთა დამუშავება, საინფორმაციო ბაზისა და რეესტრის წარმოება. ტყის მავნებელ-დაავადებათა გავრცელებასთან დაკავშირებული მონაცემების წარმოების ფუნქცია დამატებული უნდა იქნეს ამავე სამმართველოს ენტომოლოგის სამუშაო აღწერილობაში.

ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების თანახმად ტერიტორიული ორგანოები არიან პასუხისმგებელი ტყის ხანძრების პრევენციისა და ტყის რეაბილიტაციის ღონისძიებების გატარებაზე. ტყის ხანძრების შესახებ მონაცემების წარმოება არ შედის არც ეროვნული სატყეო სააგენტოს და არც ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების სამუშაო აღწერილობაში. რეკომენდირებულია შესაბამისი ფუნქციების დამატება ტყის აღრიცხვისა და კვლავწარმოების დეპარტამენტის სპეციალისტების სამუშაო აღწერილობაში.

ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების თანახმად ტყის მცველის კომპეტენციას განეკუთვნება ტყის ფონდის ტერიტორიაზე უკანონო სარგებლობის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. ტყის მცველები ტყის რესურსებით უკანონო სარგებლობის გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმაციას და მონაცემებს აწვდიან ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს. თუმცა, დეტალური ინფორმაცია ინახება ტერიტორიულ ორგანოებში. ტყის რესურსების უკანონო სარგებლობის შესახებ მონაცემების მართვა შესაძლოა მოხდეს შემდეგნაირად:

1. ტერიტორიული ორგანოების - სატყეო სამსახურების უფროსების ან სპეციალისტების სამუშაოთა აღწერილობაში შეტანილი იქნეს ფუნქციები მონაცემთა წარმოებასთან დაკავშირებით. სატყეო სამსახურების უფროსები ან სპეციალისტები უნდა იქნენ უფლებამოსილი შეიტანონ შესაბამისი მონაცემები ერთიან ცენტრალიზებულ ბაზაში, ხოლო შიდა კონტროლის სამსახურის პასუხისმგებლობას უნდა წარმოადგენდეს მონაცემთა ვალიდაცია;

ან

2. სატყეო სამსახურებს დაევალოს განსაზღვრული მონაცემების გადაცემა დადგენილი პერიოდულობით შიდა კონტროლის სამსახურისთვის, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა ბაზაში მის შეტანასა და ვალიდაციაზე.

რეკომენდირებულია საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის სამუშაო აღწერილობას დაემატოს ფუნქცია ტყის მართვისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების (როგორც ბიუჯეტიდან, ასევე დონორი ორგანიზაციების მიერ) შესახებ მონაცემების წარმოებაზე.

ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტის სამუშაო აღწერილობას უნდა დაემატოს ფუნქცია სატყეო სექტორში დასაქმებულთა შესახებ მონაცემების წარმოებაზე.

## 7. გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მიღებული ფორმატის შესაბამისად, თუმცა ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული.

სააგენტოს დებულების თანახმად, რომელიც დამტკიცებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის #27, 10.05.2013 ბრძანებით, სააგენტოს მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის ფუნქციებს განეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო ზონაში ჰიდრობიოლოგიური კვლევების წარმოება, სააუქციონო წყლის ობიექტში თევზის რესურსის მარაგის დადგენა, თევზჭერის ლიცენზიის მფლობელების მიერ წარმოდგენილი თევზჭერის კვოტების დამტკიცებაში მონაწილეობის მიღება, ჭარბტენიანი და წყალჭაობიანი სავარგულების მონიტორინგი.

სამუშაო აღწერილობის თანახმად მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის მთავარი სპეციალისტის მოვალეობაში შედის ჰიდრობიოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების შეგროვება, სისტემატიზაცია, სტატისტიკური დამუშავება, მონაცემთა ბაზების შექმნა. რეკომენდირებულია, რომ იგივე სპეციალისტი იყოს პასუხისმგებელი გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში თევზის რესურსებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის მართვაზე. მნიშვნელოვანია მჭიდრო კოორდინაციის არსებობა მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის სამსახურის მთავარ სპეციალისტსა და ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის თევზჭერის საკითხებზე პასუხისმგებელ სპეციალისტს შორის.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და სისტემური მართვის დეპარტამენტის ფუნქციას განეკუთვნება გარემოსდაცვით მონაცემთა (მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, გეოლოგიური, გარემოს დაბინძურების) ერთიანი საინფორმაციო ბაზების შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავება, და მართვა (განახლება, დაცვა, არქივირება).

სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის მონაცემთა დამუშავების მონაცემთა დამუშავების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი არის პასუხისმგებელი მოამზადოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები თევზჭერის ყოველწლიური კვოტების დადგენის მიზნით. რეკომენდირებულია იგივე სპეციალისტის სამუშაო აღწერილობას დაემატოს თევზჭერის კვოტების შესახებ მონაცემების შეტანა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში.

სამონადირეო მეურნეობებში ნადირობის ყოველწლიური კვოტები განისაზღვრება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ. ნადირობის ობიექტების აღრიცხვის მასალებს, რომელთა საფუძველზე განისაზღვრება კვოტები, სააგენტოს წარუდგენს სამონადირეო მეურნეობის მფლობელი. რეკომენდირებულია, რომ ლიცენზირების დეპარტამენტის შესაბამისი სპეციალისტის სამუშაო აღწერილობაში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს აღნიშნული ფუნქცია, ასევე, ამავე სპეციალისტის ფუნქციად განისაზღვროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში სამონადირეო მეურნეობების მიხედვით ნადირობის კვოტების შეტანა. მნიშვნელოვანია მჭიდრო კოორდინაციის ჩამოყალიბება გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის დეპარტამენტის სპეციალისტებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ნადირობის საკითხებზე.

გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტი პასუხისმგებელია წყლის ობიექტების დაბინძურების მდგომარეობის შესახებ მონაცემების წარმოებაზე. დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები მოიცავს შესაბამის ფუნქციებს და მოვალეობებს.

## 8. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები შემუშავებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადებული ფორმატის შესაბამისად, თუმცა ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის, ამასთან მოსალოდნელია სამუშაოთა აღწერილობების მნიშვნელოვანი გადამუშავება დამტკიცებამდე. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს დეპარტამენტის თანამშრომელთა სამუშაოთა აღწერილობების განახლების პროცესში.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მოვალეობებში უნდა შედიოდეს მონაცემების შეტანა ფაქტიურ თევზჭერაზე, ნადირობაზე, ასევე, არალეგალურ თევზჭერასა და ნადირობაზე. პროექტის ფარგლებში მომზადებული ანგარიშებით რეკომენდირებული იქნა თევზჭერისა და ნადირობის ელექტრონული ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება (მერქნული რესურსებით სარგებლობის ელექტრონული სისტემის ანალოგიურად). გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მოვალეობებში უნდა შედიოდეს ლიცენზიის მფლობელის მიერ ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი მონაცემების შეტანის კონტროლი.

დეპარტამენტის შავი ზღვის კონვენციური სამსახური პასუხისმგებელია შავ ზღვაში ფაქტიური თევზჭერის აღრიცხვასა და შესაბამისი მონაცემების წარმოებაზე. აღნიშნული ფუნქცია ინტეგრირებულია სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობაში. რეკომენდირებულია, რომ სამუშაოს აღწერილობაში დამატებული იქნეს ფუნქცია ფაქტიური ჭერების შესახებ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და ცოდნის მართვის სისტემაში მონაცემების შეტანის თაობაზე.

ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახური პასუხისმგებელია განახორციელოს ბიოლოგიური რესურსებით სარგებლობისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის, ასევე, ბიოუსაფრთხოების სფეროში კანონდარსებების კონტროლი და მონიტორინგი. ჯერჯერობით შემუშავებულია მხოლოდ სამსახურის უფროსის, ასევე, ტყის რესურსების კონტროლის განყოფილების სამუშაოთა აღწერილობები. სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი მოვალეობების მონაცემის შეგროვებასა და სისტემაში შეტანასთან დაკავშირებით. კერძოდ, თანამშრომლები პასუხისმგებლები უნდა იყვნენ სისტემაში შემდეგი მონაცემების შეტანაზე:

არალეგალური ნადირობა, თევზჭერა, ფაქტიური ნადირობა სამონადირეო მეურნეობებში, ნადირობის ობიექტების აღრიცხვის შედეგები, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების არალეგალური გამოთავისუფლების შემთხვევები.